თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

26 მაისი
საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა!
გილოცავთ!

№17 (705) 26 მაისი - 1 ივნისი, 2014 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

ცილისწამება თუ დაუდევრობა?



„P.S.ფოტო“ (ეკა შალამბერიძე) ©

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის უნიკალური გამოცემები სავალალო მდგომარეობაშია

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის მრავალწლიანი დაპირისპირება ბიბლიოთეკის კედლებს გასცდა. დაძაბულობა, რომელმაც დღეის მდგომარეობით პიკს მიაღწია, 2009 წელს დაიწყო, მაშინ, როდესაც „საბიბლიოთეკო ფონდების უკეთ დაცვისა და მოვლა-პატრონობის მიზნით“ პერიოდიკის განყოფილებაში დაცული გამოცემების დიდი ნაწილი (1800-1921 წლების გამოცემები) ახლად შექმნილ, „იშვიათი გამოცემების“ განყოფილებას გადაეცა.

ამავე ბიბლიოთეკის პერიოდული გამოცემების გამგე მაია მიქაბერიძე იხსენებს, რომ უნიკალური პერიოდული მასალის სხვა განყოფილებაში გადატანის პროცესს 2 წლის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზებით მიზანმიმართულად აჭიანურებდა, რადგან მიაჩნდა, რომ იშვიათი გამოცემების განყოფილება, ამბიციური სახელწოდების მიუხედავად, ეროვნულ საგანძურს, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო, მხოლოდ ზიანს მოუტანდა. უნიკალური პერიოდული მასალის ორად გახლეჩის გაჭიანურებული პროცესი 2009 წლის 4 მაისის ბრძანებულებამ დააჩქარა. ბიბლიოთეკის მაშინდელი დირექტორის, მერაბ გვაზავას სახელით გამოცემულ ბრძანებაში შავით თეთრზე დაიწერა — „საბიბლიოთეკო ფონდების უკეთ დაცვისა და მოვლა-პატრონობის აუცილებლობიდან გამომდინარე, ვბრძანებ: დაევალოს პერიოდულ გამოცემათა განყოფილების გამგეს, მაია მიქაბერიძეს და იშვიათი გამოცემების განყოფილების გამგეს, რუსუდან კაშიას, დრეობით შეაჩერონ მათ ქვემდებარე განყოფილებაში მიმდინარე ყველა პროცესი და დაუყოვნებლივ, 2009 წლის 5 მაისიდან, მოახდინონ გამოცემების გამოყოფა და გადატანა იშვიათი გამოცემების განყოფილებაში.“

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ტრენინგი ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ქუთაისში

„სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის განვითარების ინსტიტუტი“ CSMDI, რეგიონულ დამოუკიდებელ გაზეთ „P.S.“-სთან ერთად აგრძელებს აქტივობას — „დემოკრატიული მრავალფეროვნება“.

31 მაისს, 12 საათზე, აღნიშნული აქტივობის ფარგლებში, ქუთაისში, გაზეთ „P.S.“-ის საკონფერენციო დარბაზში, გაიმართება უფასო ტრენინგი თემაზე: მედიამრავალფეროვნების გაშუქება და სამართლებრივი პრინციპები.

ტრენინგი განკუთვნილია ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისა და ჟურნალისტიკით დაინტერესებული სხვა პირებისათვის.

ტრენინგის თემატიკაა:

- უმცირესობების პრობლემების გაშუქება და მედიამრავალფეროვნება;
- სამართლებრივი პრინციპები ქართული მედიისთვის და ანტიდისკრიმინაციული კანონი.

ტრენინგში მონაწილეობისთვის განაცხადები მიიღება 28 მაისამდე.

მონაწილეობის მსურველებმა უნდა გამოგვიგზავნონ CV ელექტრონულ ფოსტაზე ან მოგვწეროთ შემდეგი ინფორმაცია: 1. სახელი და გვარი; 2. პროფესია (სპეციალობა); 3. სამუშაო ადგილი და პოზიცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სემინარი გაიმართება ქუთაისის პრესის სახლში, რუსთაველის ქ. №37ª, მე-4 სართული, გაზეთ „პოსტსკრიპტუმის“ რედაქცია. ყველა მონაწილე მიიღებს სერთიფიკატს.

Email: csmdigeorgia@gmail.com

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge
ISSN 1987-7056

სამოქალაქო საქმეების ზრდა სასამართლოსადმი ნდობის გაზრდის მაჩვენებელია

ინტერვიუ ტყიბულის მაგისტრატ მოსამართლე გენადი მაკარიძესთან

იხილეთ მე-5 გვერდზე

„ფეხქვეშ მინას გვაცლიან, ესაა ცხოვრება?“

იხილეთ მე-2 გვერდებზე

სკანვორდი — გვ. 8
კროსვორდი — გვ. 7

ცილისწამება თუ დაუდევრობა?

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის უნიკალური გამოცემები სავალალო მდგომარეობაშია

პირველი გვერდიდან

ამავე ბრძანების ბოლო ნაწილი განსაკუთრებულად მკაცრი ტონის შემცველია და განყოფილებების გამგეებს, რომელთა შორის ლოგიკურად მაია მიქაბერიძე მოიაზრებოდა, აფრთხილებს: „იმ განყოფილების გამგე, რომლის მიზეზითაც არ დაიწყება აღნიშნული პროცესი მითითებულ ვადაში, დატოვებს დაკავებულ თანამდებობას".

ბიბლიოთეკის პირველი კაცის ნაბრძანებმა პერიოდულ გამოცემათა ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა და პერიოდიკის განყოფილებაში 298 უნიკალური გამოცემა იშვიათ გამოცემათა განყოფილებას საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ გადასცა.

„P.S.ფოტო" (ეკა შალამბერიძე) ©

მაია მიქაბერიძე 2009 წლის 4 მაისს დეტალურად იხსენებს:

„რეფორმის წინააღმდეგ არასოდეს ვყოფილვარ, თუ ეს რეფორმა მიმართულია უკეთესობისკენ და არა უარესობის და განადგურებისკენ. ფონდი, რომლის გადატანას, ფორმალობის დაცვის შემთხვევაში, კვირეები სჭირდებოდა, ერთ დღეში გაიტანეს, არ გაფორმებულა არცერთი აქტი, რაც დაადასტურებდა გადატანილი გამოცემების რაოდენობას, ღირებულებას და ფიზიკურ მდგომარეობას, რადგან ამ ყველაფერს დრო სჭირდებოდა. ამ რეფორმის ინიციატორებს კი, რაც პირდაპირ დირექტორის მოადგილეზე, რიტა წაქაძეზე გადის, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, პროცესის რაც შეიძლება, დაჩქარებული ტემპებით მსვლელობა აწყობდათ.

მაია მიქაბერიძის აზრით, ის, რაც რიტა წაქაძეს აწყობდა, იყო ახლად შექმნილი „იშვიათი გამოცემების" განყოფილებაში საკუთარი ნათესავების და მეგობრების დასაქმება. კადრებიც ამ პრინციპით და არა – კვალიფიკაციის გათვალისწინებით შეარჩია. წაქაძემ, რომელიც იმ დროს არაფორმალური დირექტორი იყო, განყოფილებაში საკუთარი ახლობლები დაასაქმა. არც მას და არც იშვიათი განყოფილების არცერთ თანამშრომელს გამოცემების ბედი არ აღელვებდათ, უნიკალური გამოცემები აქ ისეთ პირობებში ინახებოდა, როგორც თევზი უწყლოდ. თაროებზე, ფაქტობრივად, დაყრილი იყო ჟურნალ-გაზეთები, არ ჰქონდათ სამკითხველო დარბაზი. პერიოდული გამოცემები „იშვიათი გამოცემების" განყოფილების აღწერისა და ფორმალობის ყოველგვარი დაცვით რომ არ გადაეცა, ამას ისიც ადასტურებს, რომ მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როცა ფონდი სხვა განყოფილებაში ინახებოდა, კვლავ პერიოდიკის განყოფილების გამგეს ეწერა და მათზე მატერიალურად პასუხისმგებელი კვლავ მაია მიქაბერიძე იყო.

ხუთწლიანი „განსახლების" შემდეგ, უნიკალური გამოცემები, ბიბლიოთეკის საბჭოს გადაწყვეტილებით, კვლავ პერიოდიკამ დაიბრუნა. დაბრუნებული 298 გამოცემის უმრავლესობა სავალალო მდგომარეობაშია, დაშლილ-დაგლეჯილი ფურცლებია, შემოხეული ყდით ან უარეს შემთხვევაში – ყდის ნაცვლად შემოკრული ცელოფნებით.

პერიოდიკის განყოფილების გამგეს დღეს არც იმის მტკიცებულება აქვს, რომ ეს გამოცემები მისი განყოფილებიდან წაღებამდე ასეთ ცუდ მდგომარეობაში არ იყვნენ, რადგან მაშინ არანაირი აქტი არ დაწერილა. თუმცა, ამ შემთხვევაში, მაია მიქაბერიძე მხოლოდ თანმიმდევრულ კითხვებს სვამს:

1. თუ გამოცემები ასე სავალალოდ დაზიანებული იყო, რატომ ჩაბარებამდე არაფერი ითქვა მათი მხრიდან ამის თაობაზე?

2. როდესაც ახალი განყოფილება იქმნება, იქ რომელ ჭკუათმყოფელს შეაქვს ყოველმხრივ მწყობრიდან გამოსული წიგნები?

3. იშვიათი გამოცემების განყოფილება მთელი ზარ-ზეიმით გახსნეს და ეწყობოდა მრავალგვარი გამოფენები, თუ ასეთ გაუბედურებულ დღეში ჩაიბარეს მათ ეს გამოცემები, ამით იწონებდნენ თავს საპატიო სტუმრებთან?

მაია მიქაბერიძე ასევე ირწმუნება, რომ 5 წლის შემდეგ დაბრუნებული პერიოდიკა, დაზიანებულთან ერთად, შემცირებულიცაა, დაკარგულია 1894 წლის „მოამბე" და 1910 წლის „განათლება".

ამ ფაქტით შეშფოთებულია ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ნინო ძოწენიძე, რომელიც ბიბლიოთეკაში აღნიშნულ თანამდებობაზე 2013 წელს მოვიდა. როგორც თავად ამბობს, კომპეტენციიდან გამომდინარე, გაეცნო რა მდგომარეობას სხვადასხვა განყოფილებებში, ამ კონკრეტულმა შემთხვევამ დაანახა საშიში რეალობა, უნიკალური ფონდის სრული განადგურებისა. შესაბამისად, მან საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს ვრცელი განცხადებით მიმართა და საქმის გარკვევისა და გამოსწორების მიზნით რეაგირებისაკენ და მის ხელთ არსებული ბერკეტის გამოყენებისკენ მოუწოდა.

დირექტორის მოადგილის დირექტორისადმი მიწერილ განცხადებას მალე მოჰყვა ხარისხის მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტის, ინგა გვენეტაძის განცხადებაც. ფაქტით გვენეტაძეც შეშფოთებულია და აღნიშნავს, რომ მისთვის ძნელი წარმოსადგენია, თანამედროვე ბიბლიოთეკაში ასეთი მოუვლელი ფონდით თავს იწონებდნენ „მეპატრონეები".

წაქაძეს ჩვენ ხელს საქმეში კი არა, დაუდევრობაში ვუშლით, რატომ იმაზე არ ამახვილებს ყურადღებას, როცა ყველა საბჭოზე ვაყენებთ საკითხს, რომ მისი ინიციატივით ბიბლიოთეკიდან 31 პროფესიონალი თანამშრომელი გაუშვეს და მათ ადგილზე ნათესავები მოიყვანეს, კადრები უსაშველოდ გაბერილია."

ნარგიზა ჩოგოვაძის სახელზე ვრცელი განცხადება დაწერა თავად პერიოდიკის განყოფილების გამგემ მაია მიქაბერიძემ და „კატეგორიულად მოითხოვა, მომხდარიყო პერსონალურად იმ ადამიანების გამოაშკარავება, ვინც გაანადგურა უნიკალური ფონდი და მიღებულიყო გადამჭრელი ზომები მათ მიმართ."

ჩოგოვაძის სახელზე მიღებულმა განცხადებების სერიამ გამოხატულება უკვე თავად ბიბლიოთეკის დირექტორის ვრცელ განცხადებაში ჰპოვა, რომლითაც მან მერიის იურიდიულ სამსახურს საქმით დაინტერესება და სპეციალური კომისიის შექმნა სთხოვა. იქამდე კი ჩოგოვაძე რადიკალური განცხადებების გაკეთებისაგან თავს იკავებს და კითხვაზე — რა მოხდა, ვინ და რამ მიიყვანა უნიკალური მასალები ამ მდგომარეობამდე? — დუმილს არჩევს. დამნაშავეზე კომისიის დასკვნამდე არ საუბრობს, დაშავებულ ეროვნულ საგანძურზე კი შემდეგი პასუხი აქვს: „ასწლოვანი გამოცემები, ბუნებრივია, ვერ იქნება ახალ მდგომარეობაში, თუმცა, რა თქმა უნდა, არც ასეთ დაზიანებულ მდგომარეობაში არ უნდა იყოს, როგორშიც არის, მე მეგონა, შესაბამისად უფრთხილდებოდნენ. მე არ ვიცოდი, თუ ეს გამოცემები ასე მოუვლელი იყო. ამ ხნის მანძილზე ჩემთვის არც განყოფილების გამგეს, არც თანამშრომლებს არ მოუმართავთ გამოცემების რესტავრაციის საჭიროებაზე, დაველოდოთ კომისიის შედეგებს და საქმეში გამოკვეთილი ნებისმიერი დამნაშავე მხარე, ჩემი ჩათვლით, პასუხს შესაბამისად აგებს."

***

რეალურად რა მოხდა საჯარო ბიბლიოთეკაში 2009 წელს, რა ზიანი მოუტანა იშვიათი განყოფილების შექმნამ ბიბლიოთეკაში დაცულ უნიკალურ საგანძურს, რატომ გავიდა ფონდიდან პერიოდული გამოცემები ყოველგვარი აქტის შეუდგენლად და ვინ არის ნამდვილი დამნაშავე უნიკალური ფონდის განადგურების საქმეში? ამ კითხვებით იშვიათი განყოფილების გამგის რუსუდან კაშიას მივმართეთ, თუმცა ჩვენს მიერ დასმული ყველა კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა, კაშია კომენტარს იმ მოტივით არ აკეთებს, რომ საქმეს პროკურატურა და სპეციალური კომისია იკვლევს.

მაია მიქაბერიძის ყველა ბრალდება პასუხგაუცემელი დატოვა დირექტორის მოადგილემ რიტა წაქაძემ, ამავე თემაზე საუბარი არც მან ისურვა. დუმილის მოტივი იგივეა – საქმეს პროკურატურა იძიებს და წაქაძე იმედოვნებს, ყველა კითხვას პასუხი სამართლებრივად გაეცემა.

დუმილში კოლეგებს მიბაძა ხარისხის მართვის განყოფილების გამგემ, ციცინო ფოფხაძემ, კოლეგების მსგავსად ისიც საქმის სამართლებრივად გამოკვლევის მოლოდინშია.

შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, ერთადერთი ფაქტი, რომელიც დავას არ საჭიროებს, საუკუნოვანი პერიოდული გამოცემების განადგურებამდე დაზიანებული იერსახეა. როდის და ვისი მიზეზით აღმოჩნდა ფონდი ამ მდგომარეობაში, კომისია დაადგენს, თუმცა წლების წინ გაცემული ბრძანება, რომელიც საფუძვლად დაედო იშვიათი გამოცემების ფონდის დაარსებას და მიზნად ისახავდა „გამოცემების უკეთ მოვლა-პატრონობას", გამოცემების ამჟამინდელ იერსახეს არ შეესაბამება.

ეკა შალამბერიძე

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

B — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

„ფეხქვეშ მიწას გვაცლიან, ესაა ცხოვრება?"

ხაშურის რაიონი სოფელი ქვიშხეთი, რომელიც დასასვენებლად ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად ითვლებოდა, დღეს ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზეა. უკვე ორი წელია ჩინური კომპანია სოფელში სარკინიგზო გვირაბს აშენებს. ავარიულ სახლებში ცხოვრება კი დღითიდღე აუტანელი ხდება ქვიშხეთელებისთვის.

„ორი წელია ვებრძვით ამ პრობლემას, არა ჩინელებს, არა რკინიგზას. ამ გვირაბის გაყვანამ ბევრი ოჯახი დააზარალა. ჩვენი სახლი, სადაც ვცხოვრობთ, იქ ცხოვრება არ შეიძლება. სოფელში 550 კაცმა შეიტანა განცხადება. ოთხი ოჯახი ვართ, რომლებსაც მოგვცეს დაზიანების მეოთხე კატეგორია. ჩვენი პატრონი არავინ არაა. აქციებიც გავმართეთ, მაგრამ ვინ გისმენს? ასე მოდიხართ ჟურნალისტები, გააშუქებთ და არაფერი შედეგი არ არის. ხალხი დაწამლულია, ისეთი გამონაბოლქვი არის, ხმაური საშინელი," — გვესაუბრება სოფლის მკვიდრი **ლილი სუთიაშვილი.**

როგორც თავად ვნახეთ, საცხოვრებელი სახლები ძლიერ დაზიანებულია. ბზარები იმდენადაა მომატებული, რომ იქ შესულს ღია ცის ქვეშ ეგონება თავი.

გელაშვილი ნინო სოფლის მკვიდრია. მას ერთი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს, მეორეს ივნისის თვეში ელოდება. სახლი, სადაც ცხოვრობს, წაქცევის პირასაა, აფეთქებების შედეგად მიყენებული ნაპრალები კი, როგორც თავად გვიამბობს, დღითიდღე იზრდება. „ყოველდღე შიშში ვცხოვრობ. აფეთქებების ხმაც არ გვასვენებს. გვითხრეს დაგაკმაყოფილებთ ბინითო, მაგრამ ნათქვამი ნათქვამად დარჩა. არანაირი კომპენსაცია არ მიგვიღია. რა იქნება მომავალში, არ ვიცი. ვართ ასე ჰაერში, ნგრევის მოლოდინში გაჩერებულები."

სარკინიგზო გვირაბი, რომელსაც თავის დროზე ჩვენი მთავრობის მესვეურებმა მსოფლიო მნიშვნელობის პროექტი უწოდეს, ქვიშხეთის მოსახლეობას არამარტო სახლების ნგრევით აზარალებს, არამედ მიწის ვარგისიანობაც კითხვის ქვეშ დააყენა.

„მშენებლობა ისე დაიწყო, ნიადაგი არ შემოწმებულა. სიმსივნით დაავადებულებმა იმატა სოფელში. ხალხმა მოსავალი ვერ აიღო.მიწიდან კარტოფილი და ხახვი ვერ ამოვიღეთ, ეზოში ყველაფერი გახმა. გვპირდებიან 1000-ლარიან დახმარებას, მაგრამ 1000 ლარი რა არის, ჩვენი სახლები დღითიდღე ინგრევა," — ამბობს **დავით გოგიჩაიშვილი.**

ქვიშხეთელები გულისტკივილს გამოთქვამენ იმ ფაქტის გამო, რომ კომპანიის წარმომადგენლობა ჩინეთიდან სოფლის ხალხს არაფრად აგდებს და ზემოდან დაჰყურებენ. ადგილობრივებს ნაკლებად ამუშავებენ.

გაგრძელება **მე-6 გვერდზე**

„P.S.ფოტო" (ლიკა ჩახუნაშვილი) ©

„P.S.ფოტო" (ლიკა ჩახუნაშვილი) ©


ჩვენ ვთანამშრომლობ ესკოთი
www.cesko.ge
ესკო
საქართველოს საბარგებლი
ადგილსამყოფელი

რა არის ბუნდოვანი და გაურკვეველი ქუთაისის წყალმომარაგებაში

მიმდინარე წლის 20 მაისს გაიმართა ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების საინფორმაციო-სადისკუსიო შეხვედრა. შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო, წარმომადგენელი — ამირან ვაშაკიძე და ასოციაცია „ასა", თავმჯდომარე — ზაზა ხელაძე. შეხვედრას ესწრებოდნენ კომპანიების „კობრა"-ს და „ეპტისა"-ს წარმომადგენლები, ასევე საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ქუთაისის სერვის-ცენტრის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ქუთაისში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების განმხორციელებლები



KOCKS-ის პროექტით დაგეგმილ სამუშაოთა მოცულობა და ცვლილებები

ვაჟა-ფშაველაზე:

- დაგეგმილი: ახალი რეზერვუარები (3 ახალი რეზერვუარი 2X3,500 მ³ + 1X3,000 მ³) და ახალი სატუმბი სადგური, რომელიც გამოკვებავს თეთრამიწის რეზერვუარს (2X2,000 მ³);
- ცვლილება: დამატებითი სამუშაოები (შემავალი დიდი დიამეტრის მილის და არსებული სატუმბი სადგურის გადაადგილება).

კლდიაშვილზე:

- დაგეგმილი: ახალი სატუმბი სადგური და რეზერვუარის რეაბილიტაცია,
- ცვლილება: კლდიაშვილის სატუმბი სადგურის გადაადგილება

სატელევიზიო ანძასთან:

- დაგეგმილი: ახალი რეზერვუარი (1,000 მ³);
- ცვლილება: რეზერვუარის მოცულობის (1,000 მ³-ით) და მდებარეობის ცვლილება;
- მაგისტრალური (13,3 კმ), გამანაწილებელი ხაზები (52 კმ) და მოსახლეობასთან დაერთებები/მრიცხველები და სხვა.

KOCKS-ის პროექტის ამჟამინდელი მდგომარეობა

- მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა. თეთრამიწისა და სატელევიზიო ანძის გარდა, ყველა შენობა (რეზერვუარები, სატუმბი სადგურები და ა.შ.) სრულყოფილად დაანგარიშებულია „კობრას" საპროექტო გუნდის მიერ; კონსტრუქციული ნახაზების 80% დამტკიცებულია „ეპტისას" მიერ;
- სადგურები,
- დამტკიცებულია ვაჟა-ფშაველადან თეთრამიწამდე მაგისტრალური მილსადენების 80%. მიმდინარეობს ზოგიერთი დეტალის (კვანძების ესკიზები) დამუშავება თეთრამიწის მილსადენის დერეფანთან ერთად
- კლდიაშვილი-სატელევიზიო ანძის და თეთრამიწა-კლდიაშვილის მაგისტრალური მილსადენი დამტკიცებულია სეგმენტების მიხედვით. მუშავდება მთლიანი დეტალური პროექტი.

2014 წლის პირველი მაისის მდგომარეობით, „კობრა"-ს ინფორმაციით შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

- სამუშაოები დასრულებულია ბათუმის, წერეთლის მე-IV შესახვევის, ჯიბლაძის, ხახანაშვილის, ლუკა ასათიანის, ლესელიძის I შესახვევის, კოღუაშვილის, წმინდა სამების, ევდოშვილის ქუჩებზე.
- პროგრამა მოიცავს 800-ზე მეტ ოჯახს. მიმდინარეობს მათი ქსელზე დაერთება.
- შესყიდულია HDPE PN16 მილები, 30 კმ-ზე მეტი. მთლიანი მასალების 55% შესყიდულია ესპანელი, იტალიელი, თურქი და ქართველი მწარმოებლებისგან.
- 13 კმ უკვე ჩაწყობილია და დატესტილია.
- კვალიფიციური პერსონალის ჩათვლით, 100 მომუშავეზე მეტი არის ჩართული წყალმომარაგების მდგომარეობის გაუმჯობესების სამუშაოებში საქართველოში მნიშვნელობით მეორე ქალაქში (წყლის ტესტის შედეგები დამტკიცებულია სისტემაზე დაერთებამდე).
- ივნისში უნდა დაიწყოს 20-22 ქუჩის პროგრამა (მიმდინარეობს მოლაპარაკებები წყალმომარაგების სერვის-ცენტრსა და მერიასთან).

რეზერვუარებისა და სატუმბი სადგურების შესრულებული და დაგეგმილი სამუშაოები

ვაშა-ფშაველას რეზერვუარი:

<u>დასრულებული</u>

- ტერიტორიის მოწყობა;
- ტოპოგრაფია;
- გეოტექნიკური კვლევა;
- ტერიტორიის გეგმა;
- სასწრაფო ბაიფასის მოწყობა;
- ექსკავაციის სამუშაოები & ციკლოპური ბეტონი;
- დემონტაჟის სამუშაოები;
- კონსტრუქციული გაანგარიშებები და ნახაზები;
- ფოლადის DN900 ბაიფასის მოწყობა;
- სატუმბი სადგურის ბაიფასის მონტაჟის დაწყება;
- სატუმბი სადგურის საძირკვლის და R1 მომზადება;
- ტუმბოების და გამანაწილებელი დაფების შესყიდვა.

<u>სამუშაო გეგმა</u>

- სამშენებლო სამუშაოები, ფაზა 1: 14 აგვისტო;
- მექანიკური სამუშაოები, ფაზა 1: 14 დეკემბერი;
- სამშენებლო სამუშაოები, ფაზა 2: 14 დეკემბერი;
- სატუმბი სადგურის ელექტროსამუშაოები, დასრულება — 15 აგვისტო.

რეზერვუარები: კლდიაშვილის რეზერვუარი/სატუმბი სადგური

<u>დასრულებული</u>

- ტერიტორიის გეგმა;
- ტოპოგრაფია;
- ექსკავაციის სამუშაოები;
- კონსტრუქციული ნახაზები;
- სატუმბი სადგურის საძირკვლის ფილა, კედლები და სახურავის ფილა;
- ტუმბოების შესყიდვა. გამანაწილებელი დაფები;
- რეზერვუარის ბაიფასის მილების შეფასება მომავალში მათი იზოლაციისა და ინსპექციისათვის.

<u>სამუშაო გეგმა</u>

- სამშენებლო სამუშაოების დასრულება: ივლისი, 2014 წელი;
- მექანიკური სამუშაოები: ოქტომბერი, 2014 წელი;
- ელექტროსამუშაოები: დეკემბერი, 2014წელი;
- აღდგენა: აგვისტო, 2015 წელი.

რეზერვუარები: თეთრამიწა

<u>დასრულებული</u>

- ტერიტორიის გეგმა;
- ტოპოგრაფია;
- ზედაპირის კვლევა;
- ბოტანიკოსების მიერ არსებული ხეების და სახეობების შეფასება (მათ მოჭრასთან დაკავშირებით), რომლებიც მდებარეობს ექსკავაციის მიდამოებში;
- ექსკავაციის გეგმა;
- სპეციალური ნებართვის თხოვნა ხეების მოჭრის შესახებ გდს-დან 1 ფაზის ფარგლებში;
- დაკვალვის სამუშაოები (რეზერვუარები, მილსადენები, შესასვლელი გზა);
- კონსტრუქციული გამოთვლები და ნახაზები (70% დასრულებულია).

<u>სამუშაო გეგმა</u>

- გდს-ს ნებართვა დამტკიცდა მაისისათვის 1 ფაზის ფარგლებში;
- ხეების მოჭრა/ტერიტორიის მოწყობა: 31 მაისი, 2014 წელი;
- ექსკავაცია: ივნისი-ივლისი, 2014 წელი;
- სამშენებლო სამუშაოების დაწყება: აგვისტო, 2014 წელი;

რეზერვუარები: სატელევიზიო ანძა

<u>დასრულებული</u>

- ახალი ტერიტორიის შერჩევა;
- ტერიტორიის გეგმა (ახალი მდებარეობა);
- ტოპოგრაფიული შესწავლა და გეოტექნიკური დათვალიერება;
- სტრუქტურული დიზაინი (დაწყებულია);
- ექსკავაციის გეგმა (დამტკიცებულია);

<u>სამუშაო გეგმა</u>

- გდს-ს ნებართვა დამტკიცდა მაისისათვის 1 ფაზის ფარგლებში;
- ხეების მოჭრა/ტერიტორიის მოწყობა: 31 მაისი, 2014 წელი;
- ექსკავაცია: ივნისი-ივლისი, 2014 წელი;
- სამშენებლო სამუშაოების დაწყება: აგვისტო, 2014 წელი

ჩვენს მიერ შემჩნეულია ის ხარვეზები, რაც საკმაოდ ცუდად მოქმედებს და აფერხებს სამუშაოთა განვითარებას, ურთიერთობას მოსახლეობასთან, სამშენებლო სამუშაოთა კოორდინაციას და აუარესებს პროექტის განხორციელების ხარისხს:

1. დამოკიდებულება დამკვეთსა და შემსრულებელს შორის პროექტის საბოლოო ვარიანტის არქონის გამო. KOCKS-ის პროექტით დამუშავებული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პრინციპზე და არა მუშა პროექტის დაკვეთით, თუმცა ამისათვის საკმაო დრო (1,5 წელი) ჰქონდა დამკვეთს;
2. არაეფექტური დამოკიდებულება დამკვეთის მხრიდან მიმდინარე პროცესებზე დამკვეთსა და შემსრულებელს შორის. მაგალითად, რომელი საყრდენი კედელი გაამაგრონ, დამკვეთი ეკითხება თბილისს, იქიდან ეკითხებიან ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობას, შემდეგ პასუხი ბრუნდება უკუმოძრაობით, წარმოიშობა კითხვა იმავე გზით და ეს ხდება მრავალჯერ. ასეთი ურთიერთობა ნამდვილად არ უწყობს ხელს პროექტის გეგმურ განვითარებას;
3. პროექტის განვითარების 8 თვის შემდეგ ძლივს მივაღწიეთ პროექტის განმხორციელებელ ორგანიზაციას და ქალაქში მომუშავე სამთავრობო ორგანიზაციებს შორის საფუძვლიანი, ტექნიკური, ტექნოლოგიური, სამართლებრივი საკითხების გარშემო დისკუსიას და მონიტორინგის შედეგების განხორციელების გარშემო საუბარს;
4. შეიმჩნევა თვით სამთავრობო სტრუქტურებს შორის არაკოორდინირებული მიდგომა პროექტის განხორციელებისადმი. ყველასთან დარბის ცალ-ცალკე „ეპტისა" და ვერ ვიგრძენით სახელმწიფოს მხრიდან ერთიანი ზედამხედველური მიდგომა 31-მილიონიანი ღირებულების პროექტის პროგრამული, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესრულების მიმართ;
5. საკმაოდ ბუნდოვანია და ყველასათვის გაურკვეველია 40 ათასი აღრიცხვის კვანძის დაყენების პირობები, მისი შესაბამისობა საქართველოს ენერგეტიკის, წყალმომარაგებისა და ეროვნული კომისიის დადგენილებასთან №32, თარიღით 2008 წლის 26 ნოემბერი, მასში მოცემულ მოთხოვნებში აბონენტების როლი, დაყენების პროცედურა, თანხის განსაზღვრის მოთხოვნა;
6. საზოგადოებასთან ურთიერთობა საკმაოდ კარგადაა მოწესრიგებული შემდეგი სახით:

რისთვის უნდა იყოს მზად მოსახლეობა და რას უნდა ელოდოს მშენებლობიდან ყოველდღიურად, რასაც ვერ ვიტყვით საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგიერთ საკითხზე, რომლის ნათელი მაგალითია ქვემოთ მოყვანილი პრობლემა:

აბსოლუტურად გაურკვეველია, რას მიიღებს თითოეული მოსახლე, როდის და როგორ? ვინ არის სესხის გადამხდელი, ამის შესახებ თვით წყალმომარაგების მესვეურებიც კი არ არიან ინფორმირებულები.

ვიმედოვნებთ, პროექტი დამთავრდება დაგეგმილ დროში, 2016 წლის 16 მარტს და მანამდე აღნიშნული პრობლემები იქნება აღმოფხვრილი.

„ახალი სამოქალაქო აზროვნება +"

სტატია მომზადებულია პროექტის „ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა" ფარგლებში.

ტელ.: 24-24-62

This project is funded by the U.S. Embassy Tbilisi. The contents of this publication are those of the Author(s) and do not necessarily represent the views of the Department of State.

პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.

Government of the United States

სამოქალაქო საქმეების ზრდა სასამართლოსადმი ნდობის გაზრდის მაჩვენებელია

ინტერვიუ ტყიბულის მაგისტრატ მოსამართლე გენადი მაკარიძესთან

ვაგრძელებთ ინტერვიუების ციკლს ქუთაისის სასამართლოს შემადგენლობაში შემავალ მაგისტრატ მოსამართლეებთან.
როგორც თქვენთვის ცნობილია, 2005-2006 წლებში დაწყებული სასამართლო რეფორმის ფარგლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით შემოღებულია მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი, რომლის მთავარი ამოცანაა, მცირემნიშვნელოვანი დავების სწრაფად, გამარტივებულად განხილვა და გადაწყვეტა. ქუთაისის სასამართლოს შემადგენლობაში ამჟამად სამი მაგისტრატი მოსამართლე მუშაობს – ბაღდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს.
წინა ნომერში გაგაცანით ბაღდათის მაგისტრატი მოსამართლე, ხოლო ამჯერად ჩვენი სტუმარია ტყიბულის მაგისტრატი მოსამართლე, ბატონი გენადი მაკარიძე.

გენადი მაკარიძე

„PS.ფოტო" (ნატო გუგელაძე) ©

— ბატონო გენადი, თავდაპირველად, გთხოვთ, გაგვეცნოთ და მოკლედ გვიამბოთ თქვენი პროფესიული გზის შესახებ, რა ეტაპები გაიარეთ, ვიდრე მაგისტრატი მოსამართლე გახდებოდით?

— სასამართლო სისტემაში მუშაობა დავიწყე 2004 წელს. ვმუშაობდი თერჯოლის რაიონულ სასამართლოში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში და საქართველოს უზენაეს სასამართლოში, სხვადასხვა თანამდებობებზე. 2010 წელს ჩავბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა, იმავე წლის დეკემბერში სწავლა განვაგრძე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, რომელიც დავამთავრე 2011 წლის დეკემბერში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილებას ვახორციელებ 2012 წლის მარტიდან. მაგისტრატი სასამართლოების ამოქმედების შემდეგ მაგისტრატი მოსამართლის მოვალეობას ვასრულებ ტყიბულის მუნიციპალიტეტში.

— ჩვენი საუბრის დასაწყისში მოკლედ შევეხოთ მაგისტრატი სასამართლოების უფლებამოსილებას, როგორ საქმეებს იხილავთ?

— მაგისტრი მოსამართლის განსჯად საქმეებს შეადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე წარმოშობილი დავები, ასევე – დავები სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის თაობაზე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის თაობაზე; საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით; მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანების გამოცემის თაობაზე; შესაბამისი ფსიქიატრიული დაწესებულების ან სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვის საფუძველზე, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით, პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ.

სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მაგისტრატი სასამართლოები ასევე განიხილავენ ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს; უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე გამარტივებული წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, გამარტივებული წესით გადახდის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება არ აღემატება 2000 ლარს. საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე; გარდა აღნიშნულისა მაგისტრატი სასამართლოს განსჯად საქმეებს წარმოადგენს გამოძიების პროცესში დაყენებული შუამდგომლობები.

— ბატონო გენადი, თქვენ, როგორც მაგისტრატი მოსამართლე, როგორ აფასებთ მაგისტრატი სასამართლოს ეფექტურობას, რა უპირატესობები აქვს მას ადგილობრივი მოსახლეობისთვის?

— ჩემი აზრით, მაგისტრატი სასამართლოების ამოქმედება წინგადადგმული ნაბიჯია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და მის სწრაფად განხორციელებაში. მაგისტრატი სასამართლოს ფუნქციონირება საკმაოდ ეფექტურია იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც საქმეთა ნაკადი მაღალი ინტენსივობით არ გამოირჩევა. ვინაიდან მის განსახილველად ერთი მოსამართლეც საკმარისია და არ ხდება ადმინისტრაციული რესურსის ზედმეტი და ფუჭი ხარჯვა. ასევე, მოსახერხებელია ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც იმ კუთხით, რომ მათთვის საჭირო ყველა წვრილმან საქმეზე ქუთაისში არ უწევთ ჩამოსვლა.

— როგორ შეაფასებდით სასამართლოს მიმართ მოსახლეობის ნდობის საკითხს, რამდენად გენდობათ და აქვს სამართლიანობის იმედი?

— ბოლო პერიოდებში ჩატარებული სხვადასხვა გამოკითხვების შედეგების მიხედვით, სასამართლოს საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი ენდობა. ნდობის მატებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ყოველწლიურად მატულობს განსახილველი საქმეების რაოდენობა, რაც იმას ნიშნავს, რომ უფრო და უფრო მეტი მოქალაქე ანდობს სასამართლოს თავისი მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთის ბედის გადაწყვეტას.

— წელიწადში, დაახლოებით, რამდენი საქმის განხილვა ხდება, რა საკითხებზე მოგმართავენ ძირითადად?

— უმეტესწილად, რიცხობრივად ლიდერობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები და სამოქალაქო სამართლის საქმეები. რაც შეეხება რაოდენობას, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში საქმეთა რაოდენობა სხვადასხვაა და იგი მერყეობს, სამოქალაქო საქმეებში, დაახლოებით, 50-დან 250-მდე, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში — 150-დან 450-მდე.

— რა მიგაჩნიათ თქვენს საქმიანობაში ყველაზე დიდ სირთულედ, რა პრობლემებს აწყდებით?

— ვინაიდან საქმეთა განხილვა დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან, დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ყველაზე დიდ სირთულეს, ალბათ, საქმეთა სიმრავლე წარმოადგენს. სასამართლოში საქმეთა შედინების ხარისხი ძალზედ გაიზარდა. სწრაფი მართლმსაჯულება ერთ-ერთი უმთავრესია სასამართლოს სისტემის განვითარებისა და მოქალაქეთა ნდობის ასამაღლებლად, რაც ცხადია, საქმეთა სიმრავლის პირობებში ვერ იქნება სათანადოდ მიღწეული. მოქალაქეებს, გარდა კანონიერი გადაწყვეტილებისა, აქვთ მოლოდინი, რომ მათი საქმე დროულად იქნება განხილული. ამიტომ ვფიქრობ, რომ ყველაზე დიდ პრობლემას, რომელსაც მოსამართლე აწყდება, ეს განსახილველ საქმეთა რაოდენობაა.

— გიგრძნიათ თუ არა თქვენი საქმიანობის განხორციელებისას რაიმე სახის ზეწოლა? საერთოდ, რამდენად დამოუკიდებელია, თქვენი აზრით, დღეს ქართული სასამართლო?

— ჩემი საქმიანობის პერიოდში არანაირ ზეწოლას და ჩემი, როგორც მოსამართლის საქმიანობაში ჩარევის მცდელობას, ადგილი არ ჰქონია. მოგეხსენებათ, კანონმდებლობა ითვალისწინებს არამარტო მოსამართლის საქმიანობის ჩარევასთან დაკავშირებით, არამედ, მასთან კომუნიკაციის წესის დარღვევის გამოც კი საკმაოდ მკაცრ რეაგირებას. ვფიქრობ, არავის აქვს სურვილი, კანონის ამ მექანიზმის ეფექტურობა საკუთარ თავზე გამოსცადოს.

— ბატონო გენადი, ჩვენი საუბრის დასასრულს, მოსამართლეთა დანიშვნის ვადებზე უნდა გკითხოთ. თქვენთვის ცნობილია, რომ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის ნორმა კონსტიტუციურად ამოქმედდა, თუმცა, პარლამენტი აპირებს სამწლიანი გამოსაცდელი ვადის დაწესებას მოსამართლისთვის. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხზე?

— კონსტიტუციაში გაკეთდა ჩანაწერი, რომ მოსამართლე თანამდებობაზე ინიშნება უვადოდ, თუმცა უვადოდ დანიშვნამდე იგი შეიძლება თანამდებობაზე დაინიშნოს ვადით, არაუმეტეს სამი წლისა. თავის მხრივ, ეს დათქმა დაზუსტდა საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით, სადაც გაიწერა, რომ მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება 3 წლის ვადით. ამ ვადის გასვლამდე არაუადრეს 2 და არაუგვიანეს 1 თვისა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს და იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, გაამწესოს თუ არა აღნიშნული მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ. ჩემი აზრით, კანონის ეს ნორმა საჭიროებს კიდევ უფრო დაზუსტებას. კონკრეტულად ჩემთვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, რატომ უნდა სჭირდებოდეს გამოსაცდელი ვადით დანიშვნა იმ მოსამართლეს, რომელიც უკვე წლებია, უმწიკვლოდ და პირნათლად ახორციელებს სამოსამართლეო უფლებამოსილებას, ან რატომ უნდა იყოს მისი შემდგომი დანიშვნა დამოკიდებული მონიტორინგის შედეგებზე. მით უმეტეს, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ მოსამართლის უვადოდ დანიშვნა საკმაოდ დადებით და პირდაპირ გავლენას ახდენს მის დამოუკიდებლობაზე, ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოებებიც, რომ ევროპის რამდენიმე ქვეყანამ უკვე გააუქმა გამოსაცდელი ვადით დანიშვნა და დაიწყო მოსამართლეების თანამდებობაზე უვადოდ გამწესება.

ნატო გუგელაძე

პროექტს ახორციელებს შპს „ბესთკომპანი ჯორჯია"
ელფოსტა: bestcompany_z@yahoo.com

ესსეების კონკურსი „დემოკრატია ჩემი ფანჯრიდან"

„სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის განვითარების ინსტიტუტი" აქტივობა „მრავალფეროვანი დემოკრატიის" ფარგლებში აცხადებს ესსეების კონკურსს 15-დან 25 წლამდე ახალგაზრდებისთვის. კონკურსის პირობითი სახელწოდებაა: „დემოკრატია ჩემი ფანჯრიდან".

კონკურსის თემატიკა შემოიფარგლება საქართველოში სამოქალაქო აქტივობების, ადამიანის უფლებების და დემოკრატიის სხვა გამოწვევებით. კონკურსის მიზანია საქართველოს ქალაქებში, რაიონებსა და სოფლებში მიმდინარე სამოქალაქო ინიციატივების და დემოკრატიული პროცესების ახალგაზრდული ხედვის და შეფასების გაცნობა საზოგადოებისთვის.

ესსე უნდა იყოს არაუმეტეს 2000 სიტყვისა, „word"-ის დოკუმენტის სახით.

ესსეს გამოგზავნის ბოლო ვადაა 20 ივნისის 20 საათი.

პირველ ეტაპზე კომპეტენტური ჟიური შემოსული საკონკურსო ესსეებიდან შეარჩევს 20 საუკეთესოს. ისინი გამოქვეყნდება ორგანიზაციის „ფეისბუქის" გვერდზე და საინფორმაციო პორტალზე www.psnews.ge. ხოლო საბოლოოდ, მათგან სამ საუკეთესოს აირჩევს ინტერნეტ-მომხმარებელი like-ის საშუალებით.

გამარჯვებულ ავტორებს გადაეცემათ სერთიფიკატები და სამახსოვრო პრიზები. გარდა ამისა, გაივლიან სტაჟირებას საინფორმაციო ინტერნეტ პორტალზე www.psnews.ge.

მონაწილეებმა ესეები გამოგვიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე: csmdigeorgia@gmail.com

(Subject-ში მიუთითეთ - ესსეების კონკურსი)

საკონტაქტო პირი:

მაგდა ჩინიჯიშვილი
557 915 992

„ფეხქვეშ მიწას გვაცლიან, ესაა ცხოვრება?"

მე-2 გვერდიდან

„დაფასება არ აქვს სოფელს. ქვიშხეთს რომ ანგრევ, ხალხი დაასაქმე. რამდენიმე მუშაობდა და გამოუშვეს, ერთს უთხრეს, შენ ბევრს ლაპარაკობ და არ გვინდა ასეთი თანამშრომელიო. ვალერი გელაშვილი მკვდარია ხაშურისთვის, არაფერი გაუკეთებია თავისი ხალხისთვის. კიდევ ამბობენ მეორე გვირაბის გაყვანას და ის მეორე გვირაბი სულ მოგვიღებს, ალბათ, ბოლოს," — გვიამბობს სოფლის მკვიდრი **გოჩა ქველიძე.**

„ეზო აღარ მაქვს უკვე. ზაფხულობით დამსვენებელს ვიღებდით, ახლა არავინ ამოდის. გავაკეთო მინდა სახლი, მაგრამ მეორე გვირაბი თუ უნდა გაიყვანონ, რად მინდა, კი ჩამომენგრევა თავზე. ეზოში ნათესები გადაგვარებულია, მწვანილებს ერთმანეთისგან ვეღარ ვარჩევთ. მეორე კატეგორია მომცეს დაზიანების და აწი რა იქნება, არ ვიცი," — აცხადებს **იამზე ბლიაძე.**

გვირაბი, რომელიც მოსახლეობის სახლების ქვეშ გადის, წინა ხელისუფლების პროექტია, რომლის მეპატრონეც ჩინური კომპანიაა. ქართული მხარე კი დღეს, საკუთარ თავზე, ყველა ვალდებულებას იხსნის. „ყველაფერზე პასუხისმგებელი მხარეა ჩინური კომპანია, ჩვენ პასუხისმგებლობა არ გვეკისრება." — ჩვენს სატელეფონო შეკითხვას რკინიგზის დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსმა დაჩი ცაგურიამ ასე უპასუხა.

ლიკა ჩახუნაშვილი

შპს მისო „იმერკრედიტი" - პარტნიორებს

კანონი №3482-რს საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ მუხლი №8-ის მოთხოვნის შესაბამისად ჩატარებული აუდიტის დასკვნა.

აუდიტური კომპანია „აუდიტ-პროფესიონალის" აუდიტორებმა ჩავატარეთ შპს მისო „იმერკრედიტი" თანდართული ბუღალტრული ბალანსის აუდიტი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისა და ახსნა განმარტებითი ინფორმაციის აუდიტი იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით. ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა, ჩვენ კი გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცეთ დასკვნა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე, ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას. აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, შპს მისო „იმერკრედიტის" მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მისი საქმიანობის შედეგებს, იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დამთავრდა მოცემული თარიღით ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტური კომპანია
აუდიტ პროფესიონალი
2013 წელი
ქ.ქუთაისი წმინდა
/ა.ნიქაბაძე/

ბ ა ლ ა ნ ს ი

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საწარმოს დასახელება: **შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი"**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია**

მისამართი: **ქ. ქუთაისი გ. ტაბიძის №12**

საქმიანობის დარგი: **ფინანსური მომსახურეობა**

ზომის ერთეული: **ლარი**

აქტივები	**31.12.2013**		**31.12.2012**	
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	257 243		284 528	
გადავადებული საგადასახადო აქტივი			0	
სულ გრძელვადიანი აქტივები		257 243		284 528
მიმდინარე აქტივები				
კლიენტებისათვის მიცემული სესხები	1 590 648		1 332 205	
მისაღები პროცენტები	111 445		65 998	
სხვა აქტივები	3 356		1 656	
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	61 241		12 014	
ვადაგადაცილებული სესხები	-247 054		-189 549	
სულ მიმდინარე აქტივები:		1 519 636		1 222 323
სულ აქტივები:		***1 776 879***		***1 506 851***
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი და რეზერვები				
განაღდებული საწესდებო კაპიტალი	302 000		302 000	
საემისიო (დამატებითი) კაპიტალი	0		0	
აკუმულირებული მოგება/ზარალი	432 000		351 182	
სულ კაპიტალი და რეზერვები		734 000		653 182
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გადავადებული გადასახადი	3605,38		7594,38	
გრძელვადიანი ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	48553,46		81382,28	
საიჯარო შენობის გამოსყიდვის ღირებულება	60000		60000	
სესხი	343 219		505 619	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		455 378		654 596
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	8 752		-44 209	
დარიცხული პროცენტები	9 142		5 573	
ვალდებულებები ფინანსური ლიზინგის მიხედვით	35 350		28 282	
სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები	534 257		209 427	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		587 501		199 073
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		***1 776 879***		***1 506 851***

მოგებისა და ზარალის წლიური ანგარიშგება

2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საწარმოს დასახელება: **შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი"**

იურიდიული მისამართი: **ქ. ქუთაისი, გ. ტაბიძის ქ. №12**

საქმიანობის სახე: **სესხების გაცემა**

ზომის ერთეული: **ლარი**

	2013 წ.	**2012 წ.**
საპროცენტო შემოსავლები	609551	680042
საპროცედურო შემოსავლები	29104	34157
მიღებული ჯარიმები	12999	15
სავალუტო სახსრების გადაფასებიდან შემოსავალი	55598	0
იჯარის შემოსავალი	25854	
სხვა შემოსავლები	2618	29010
სულ შემოსავლები	735724	743223
საერთო მოგება	**735 724**	**743 223**
შრომის ანაზღაურება	166 538	142 634
ზარალი სესხის შესაძლო დანაკარგებიდან	57 504	194 872
ადმინისტრაციული ხარჯები	93 789	104 193
საოპერაციო მოგება	**417 893**	**301 523**
ზარალი სესხის გადაფასებიდან	0	0
სხვა ხარჯები		
საპროცენტო ხარჯები	135 858	121 453
მოგება დაბეგვრამდე	**282 035**	**180 070**
მოგების გადასახადის ხარჯი	51 216	27 011
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება	**230 819**	**153 059**

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების წლიური ანგარიშგება

2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საწარმოს დასახელება: **შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იმერკრედიტი"**

იურიდიული მისამართი: **ქ. ქუთაისი, გ. ტაბიძის ქ. №12**

საქმიანობის სახე: **ფინანსური მომსახურეობა**

ზომის ერთეული: **ლარი**

	საწესდებო კაპიტალი	რეზერვები დაფინანსება	აკუმულირებული მოგება-ზარალი	სულ
31.12.2011 ნაშთი	***302 000***	***220 000***	***579 688***	**1 101 688**
დივიდენდი		***-220 000***	***352 000***	**132 000**
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	*0,00*	*0,00*	*123 494*	**123 494**
31.12.2012 ნაშთი	***302 000***	***0***	***351 182***	**653 182**
დივიდენდი	*0,00*	*0,00*	*-150 000*	**-150 000**
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	*0,00*	*0,00*	*230 818*	**230 818**
31.12.2013 ნაშთი	***302 000***	***0***	***432 000***	**734 000**

ყვირის ჰოროსკოპი

ვერძი: თავშეკავებულობა და მოთმინება გმართებთ, არ დაკარგოთ ის, რაც დიდი გაჭირვებით მოიპოვეთ. მოულოდნელმა წარმატებამ შესაძლოა, თქვენი მდგომარეობა რადიკალურად შეცვალოს.

კურო: პარტნიორთან ურთიერთობისას მოერიდეთ გაბუქებას. მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციას, სანამ ვინმეს რამეში დაადანაშაულებთ, შეეცადეთ საკუთარი საქციელი შეაფასოდ. ნურც ზედმეტად ქველმოქმედი იქნებით.

ტყუპები: აღმოაჩენთ, რომ არც ისე თავისუფალი ხართ, როგორც გეგონათ. ყოველ შემთხვევაში მატერიალურმა მხარემ შეიძლება ურთიერთობებში პრობლემები შეგიქმნათ.

კირჩხიბი: შეეცადეთ, ზომიერი იყოთ ალკოჰოლთან. თუ თქვენი საქმიანობა დაკავშირებულია ბიზნესის სფეროსთან, შეეცადეთ ფრთხილად მიუდგეთ ხარჯებს.

ლომი: არ ღირს ეკონომია, უმჯობესია გაანებივროთ ახლობლები საჩუქრებით და სურვილების ასრულებით. ყურადღებით იყავით, რომ თქვენი სიყვარული და ყურადღება გონიერების საზღვრებს არ გასცდეს.

ქალწული: შესაძლებელია ისეთი ადამიანი ან ადამიანები გაიცნოთ, რომლებიც არ იმსახურებენ ნდობას. ყოველდღიური ან სამსახურის საქმეების გაკეთება გაგიძნელდებათ, რადგან სიზარმაცე და ოცნებებით გატაცება წაგართმევთ დროს.

სასწორი: კარგი დროა თანამოაზრეებთან, მეგობრებთან, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისათვის. დაგეგმეთ მეგობრებთან ერთად პიკნიკი ან რომანტიული ვახშამი.

მორიელი: თქვენი მისწრაფება სიამოვნებისადმი და კომფორტისადმი ძალზედ დიდია. მთელი კვირა ეიფორიაში და გარკვეულ აღმაფრენაში იქნებით.

მშვილდოსანი: გაიზრდება შთაბეჭდილების მიღების ალბათობა, ემოციურობა. სასურველია ხელოვნებას, კულტურას ეზიაროთ.

თხის რქა: თანდათანობით გაიზრდება თქვენი ინტერესი დაფარული, რთული თუ აკრძალული თემებისადმი. ექსპერიმენტები, კრიტიკული სიტუაციები მიიქცევს თქვენს ყურადღებას და მიუდგებით პრაქტიკული მხრიდან.

მერწყული: ყველაფერი, რაც გვსურს, არაა ასრულებადი. ამიტომ ნუ გაგანერვიულებთ ეს ფაქტი.

თევზები: საკუთარი ფინანსების განკარგვა მხოლოდ თქვენი პროფესიონალიზმია და კარგი იქნება, თუ ამ საქმეში ჩარევის უფლებას ნაკლებად მისცემთ ვინმეს.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. მდინარე. 5. კროლი; 6. სვე. 8. მეი. 9. კასპი. 11. ომიკრონ.
შვეულად: 1. ბროლი. 2. რობ. 3. გომბეშო. 4. იფსილონ. 7. ამერი. 10. სიო.

ქუთაისის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეთა კონცერტი და ჰიმნის პრეზენტაცია მესხიშვილის თეატრში

23 მაისს ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის №3 საჯარო სკოლის ნიჭიერ შემოქმედებს ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის სცენამ უმასპინძლა, სადაც ქართულ მოტივებზე შექმნილი ლექსები, სიმღერები და ცეკვები ერთმანეთს ენაცვლებოდა.

როგორც სკოლის ხელმძღვანელობა აღნიშნავდა, ეს არ იყო უბრალოდ შემოქმედება, თეატრში გამართული ღონისძიებით წმინდა ნინოს სახელობის ქუთაისის №3 საჯარო სკოლაში მრავალწლოვანი ტრადიცია აღდგა. როგორც სკოლის დირექტორის მოადგილემ, მარინა ლომთაძემ აღნიშნა, ქუთაისის №3 საჯარო სკოლამ ტრადიცია აღადგინა და მესხიშვილის თეატრში შეკრებილი საზოგადოების წინაშე თვითშემოქმედებით წარსდგა.

„ჩვენს სკოლას ჰქონდა ტრადიცია, რომელიც სამწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ გავაგრძელეთ და დღეს მაყურებლის წინაშე ჩვენი აღსაზრდელები თვითშემოქმედებით წარსდგნენ. ეს იყო ჩვენი ბავშვების, პედაგოგებისა და მშობლების დაუღალავი შრომის შედეგი. მოხარული ვარ, რომ თეატრში მყოფმა საზოგადოებამ მოიწონა და დააფასა ჩვენი ბავშვების ნიჭიერება. მომავალში კვლავ გავაგრძელებთ, მეტად მრავალფეროვანი შემოქმედებით ვეწვევით თეატრს," — განაცხადა **მარინა ლომთაძემ.**

ღონისძიების დასასრულს სკოლის დირექტორმა, თამაზ ჭაბუკიანმა, საზოგადოებას სკოლის მედალოსნები და ოლიმპიადებში გამარჯვებულები წარუდგინა.

23 მაისის კონცერტი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ პოეტ ირმა ქურასბედიანის ლექსზე შექმნილი ქუთაისის №3 საჯარო სკოლის ჰიმნის პრეზენტაცია გაიმართა. რამდენიმე დღის წინ, წმინდა ნინოს სახელობის სკოლა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ აკურთხა.

სკოლის მოსწავლეების, კურსდამთავრებულების, მშობლების და მასწავლებლების მიერ ერთობლივად შესრულებულმა ჰიმნმა თეატრში მყოფი საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია, რომლებიც კონცერტის დასასრულს ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ქუთაისის №3 საჯარო სკოლამ თავისი სახელი კიდევ ერთხელ გაამართლა.

„ქუთაისში რამდენიმე გამორჩეული სკოლაა, რომელთაც, ქუთაისის მსგავსად, დიდი ისტორია აქვთ. მათ შორის არის წმინდა ნინოს სახელობის სკოლა. რაც დღეს ჩვენ აქ ვიხილეთ, არის მაღალი პროფესიონალიზმისა და ცოდნის შედეგი. მე არ ვიცი სკოლა, რომელსაც ასეთი ჰიმნი ექნება. №3 საჯარო სკოლას მეტი პერსპექტივა აქვს. ვუსურვებ წარმატებებს და ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდა შემოქმედს," — აღნიშნა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა **ომარ ნიშნიანიძემ.**

კონცერტს იმერეთის გუბერნატორი ზაზა მეფარიშვილი, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი ნოდარ მიქიაშვილი, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები და ქალაქში ცნობილი სახეები ესწრებოდნენ.

მესხიშვილის თეატრში კონცერტი იმერეთის გუბერნატორის და ქალაქის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით გაიმართა.

ნესტან ჩაგელიშვილი

ნეკროლოგი

ნინო (ბუცა) ობოლაძის ხსოვნას

გვეგონა, ცხოვრება კალაპოტს მხოლოდ შენთან მიმართებაში შეიცვლიდა — სულ მუდამ გვეყოლებოდი ბურჯად და იმედად. შენ შვილთაშვილებით გაიხარებდი, ჩვენ კი შენი მონაყოლი ზღაპრებისა თუ ძილისპირულების იმედად ვიქნებოდით.

განა ასე არ იყო? ჩვენი დამყნობა სამშობლოსა თუ მოყვასის, ჩვენი პატარა ქალაქის სიყვარულში შენი მოყოლილი ძილისპირულებით არ ხდებოდა?!

თეთრისა და შავის, ან მორცხვი სიკეთის დანახვაც შენგან არ ვისწავლეთ?

„თუკი ვინმეს, ერთი თეფში ცხელი კერძით დაუპურებიხარ, ეს იმოდენა მადლია, ვერც გადაიხდი, ეცადე მაინც, არასოდეს დაივიწყოო," — გვასწავლიდი.

ცხელი კერძი არ ვიცით, მაგრამ წლებია, შენგან მალამოდმორჩენილი პაციენტები ქუჩაში გვაჩერებენ სამადლობლოდ, ესეც ცხოვრების მაგალითად დაგვიტოვე, არა?

მაგრამ ყველაზე დიდი მადლი მანდ გიმზადებს ნათელ შარავანდედს, — 20 წლის ქალიშვილს გვერდში რომ ამოუდექი, დაობლებული, სხვისი ოთხი შვილის გასაზრდელად. სხვამ თუ არა, შენ ყველაზე უკეთ იცოდი რას ნიშნავდა ობლობაში, მარტოდ გაზრდა შვილებისა.

სამსჯავრო აქაც მრავლად გვაქვს, მაგრამ იქ, უფლის წიაღშია მთავარი. შენ პირნათელი, ამაყად წელგამართული მიუხვალ მეუღლეს, შენს და-ძმებს, მაგრამ განსაკუთრებუთ ჩვენს მშობლებს, რადგან წიგნად დასაწერი გმირობა ჩაიდინე და ასეთ ადამიანებად ჩამოგვაყალიბე.

ზეცა დიდია, ბუცა ბებო, სავანეც, მაგრამ ჩვენ დღეიდან მხოლოდ აბრაამის წიაღში გვეგულვი, — იქ, სადაცა მართალნი განისვენებენ.

შვილიშვილები — მანუჩარ, ანზორ, ავთანდილ კაჭახიძეები

გამოსვენება სამშაბათს, 27 მაისს, 15 საათზე, ბუხაიძის ქ. №25.

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**, სამწუხაროდ, ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის უცნობი სახე აღმოჩნდა.

რას დაარქმევდით?

მსახიობი და პარლამენტარი ზაზა პაპუაშვილი

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

გიორგი გაბუნია

მე ოგივე ვარ, მარად და მარად...

ციცო კეთილაძე

დაგვიკავშირდით:

- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი

თარაზულად: 3.მთვარეზე ნამყოფ კოსმონავტთა რაოდენობა. 5. ოდისევსის კუნძული. 6. ენამოჩლექით მოლაპარაკე. 8. მეხუთე მუსიკალური ნოტი. 9. შოკოლადის ხე. 11. დედალოსის ვაჟი.

შვეულად: 1. იგავ.... 2. მსახიობი ... რაიანი. 3. ეგვიპტის ფარაონი (1534-1521 ძვ.წ). 4. აფრა. 7. ფრანგი მსახიობი ... ბუკე. 10. ქართული „პ" ასოს სახელი.



განცხადება

შევიძენ მუსიკალურ ინსტრუმენტს, ფლეიტას, კარგ მდგომარეობაში. ასევე შევიძენ ექვსსიმიან გიტარას.

დაგვიკაშირდით ტელეფონზე: (0431) 244 822

რუფა ბებოს ოცნება

რუფა ღონღაძეს 9 მაისის ღონისძიებაზე შევხვდი საჩხერეში. შვილის ხელს დაყრდნობილი მკვეთრად და გამართულად საუბრობდა. მირთმეული თაიგულის გამო მადლობა გადამიხადა და თავის შესახებ მიამბო. ქართულად საუბარი შედარებით უჭირს და ადგილ-ადგილ რუსულით ანაცვლებს.

მოსკოვში 91 წლის წინ დაბადებულა, პირველი კურსი დაუხურავს უნივერსიტეტში, მერე მეორე მსოფლიო ომი დაწყებულა. რუფას, სიცოცხლით სავსე გოგონას, გადაუწყვეტია, რომ „მედსესტრა" გამხდარიყო და საექთნო კურსების დასრულების შემდეგ, ომის წინა ხაზზე მოხვდა კიდეც. ვინ იცის, რამდენი დაჭრილისთვის ადგილზე აღმოუჩენია დახმარება და ვერც იმას მოთვლის, რამდენი სასიკვდილოდ განწირული გადაუყვანია სტაციონარამდე. დაბომბვის დროს თავს სამალავებს ვაფარებდით თავს, მერე კი ბრძოლის ველზე დაზარალებულებსა და დაჭრილებს ვშველოდიო," — თქვა რუფამ.

ომში გაიცნო მომავალი მეუღლე, გიორგი ღონღაძე. საჩხერეში წამოჰყვა მომხიბვლელ ქართველს და ამის მერე საჩხერეში ცხოვრობს. აქედან ფეხი არ გამიდგამსო, — ამაყად ამბობს ცისფერთვალება ბებო. გათხოვების მერე ქუთაისში დაუსრულებია რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი და საჩხერეში ასწავლიდა რუსულ ენას ბავშვებს. არდადეგების დროს კი ადგილობრივი კადრების გადამზადებაც მისი საქმე იყო.

მეოცე საუკუნის დასაწყისში საჩხერე ერთ პატარა დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა და იქ მხოლოდ კერძო პრაქტიკის მქონე ექიმები მკურნალობდნენ ავადმყოფებს. თუ სტაციონარი იყო საჭირო, ჭიათურაში უნდა ჩასულიყვნენ. სტალინურ პერიოდში კერძო სამედიცინო პრაქტიკა სასტიკად აიკრძალა და გიორგი ღონღაძემ ომისდროინდელ მეგობარს, მაშინდელ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს მიმართა თხოვნით, საავადმყოფო გაგვახსნევინეთო. გიორგის თხოვნა დაკმაყოფილდა და პირველი სტაციონარიც გაიხსნა საჩხერეში. ბუნებრივია, რომ გიორგი დაინიშნა მთავარ ექიმად, თუმცა, ბოლოს, მოხუცობის ჟამს, დიაბეტით დაავადებული გარდაცვლილა.

ორი შვილი გაზარდეს გიორგიმ და რუფამ. ვაჟი, რუსლანი, არქიტექტორი იყო და ძეგლთა რესტავრაციით იყო დაკავებული. თურმე რუსლანი ზვიად გამსახურდიასთან მეგობრობდა და „მრგვალი მაგიდის" წევრიც იყო. მას პირველი ცოლი უკრაინელი ჰყოლია, რომლისგანაც ტყუპი ვაჟები შესძენია. ერთი მაშინვე დაღუპულა, ხოლო მეორე, გიორგი ღონღაძე, უკრაინაში ცნობილი ჟურნალისტი იყო.

— „მთავრობას აკრიტიკებდა და სულ ვაფრთხილებდი, ფრთხილად იყავი, ხალხის აზრის დაცვაც კარგია, დამნაშავეთა მხილებაც, მაგრამ ეს ომია და ცხენი მუდამ მზად უნდა გყავდეს-თქო, — ვეუბებოდი ჩემს შვილიშვილსო, თქვა ცრემლის ყლაპვით რუფა ბებომ, — გიორგიზე ერთ-ერთ გაზეთში სტატია ეწერა, რომელსაც დღემდე ვინახავ: „მას კარგი ქართველის ყველა თვისება ჰქონდა, სამოქალაქო ომის დროს ორივე მხარეს ერთნაირად გვეპატრონებოდა, ორივე მხარეს ქართულ-უკრაინულად გვარიგებდა. ასეთი იყო გიორგი ღონღაძე."

რუსლანის მეორე შვილი, ქართველი მეუღლისაგან გაჩენილი, ამჟამად „იმედში" მუშაობს. რუფა წუხს, რომ შვილიშვილთან ერთად არ უწევს ცხოვრება (თბილისში მუშაობსო). ქალიშვილი სამსახურიდან გაათავისუფლეს, მაგრამ სექტემბრიდან, იმედია, ისევ დაიწყებს მუშაობასო.

ყოველწლიურად, 9 მაისს, გმირთა მემორიალთან მიდის, ყვავილებს მიიტანს ხოლმე და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა საფლავებსაც აკითხავს. მოძრაობა უჭირს, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება ყურადღებას იჩენს ხოლმე და წელს მემორიალამდე მანქანითაც მიიყვანეს. ერთჯერადი თანხა — 450 ლარი ბევრი არ არის, მაგრამ რუფას ყურადღება სიამოვნებს. თან წლევანდელი ერთჯერადი ფინანსური საჩუქარი ყველა ადრინდელზე მეტი ყოფილა...

ნატვრა და ოცნება ყველა ასაკში შეიძლება. რუფა ბებოს საწიგნედ დაწერილი აქვს „რუსული ენის თვითმასწავლებელი", რომლის გამოცემაზე ფიქრობს. ლექსებიც აქვს და ზღაპრებიც შექმნილი, ოღონდ რუსულ ენაზე. თუ ვინმე გადათარგმნის ზღაპრებს, გადათარგმნოსო (მოვსინჯავ ერთი ზღაპრის გადათარგმნას, ეგებ გამომივიდეს — რ.ხ.).

„მეგობარმა მითხრა, რომ 120 წელი იცხოვრებო. მინდა, რუსეთში დავბრუნდე. ეგებ ლექსები და ზღაპრები გამოვცე," — დაასრულა რუფა ბებომ საუბარი და უსაზღვროდ ლურჯი თვალებით გაიღიმა.

როლანდ ხოჯანაშვილი



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

MEGA CREDIT
ფულადი გზავნილები
ქუთაისი, რუსთაველის 141. (0 431) 27 52 45; ჭავჭავაძის 55/2. (0 431) 27 67 10

პრესკონფერენციები, ბრიფინგები, პრეზენტაციები
PSpress-კლუბი
P.S.

ქუთაისი, რუსთაველის 37ა (პრესის სახლი). 599 10 77 94

წიგნების მაღაზია ქიმერიონი
qimerioni.ge
ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:
• ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
• კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
• მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
• სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
• ენციკლოპედიები;
• ლექსიკონები;
• ჟურნალ-გაზეთები
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ფუდმარტი" (ყოფილი „პოპული"), წიგნების მაღაზია „ქიმერიონი".
ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474